#673 2014 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №45 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/01/2011, 010220020.10.003.016206) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2014 წლის 10 დეკემბრის
№ 673 დადგენილების
დანართი
„დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური

№	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების საფასური ლარებში (დღგ-ის ჩათვლით)
1	ადგილობრივი წარმოების და იმპორტირებული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელებსა და ღვინის სპირტზე შესაბამისობის სერტიფიკატის, ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტირე-ბისას წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა	ერთი დღე ორი დღე სამი დღე მეოთხე და შემდეგი დღე	250 200 100 უფასო
2	მეწარმის მიერ დამტკიცებული		თითოეულ

	ყურძნისეული წარმოშობის ალკო-ჰოლიანი სასმელების წარმოების ტექნოლოგიური ინსტრუქციების შეთანხმება		დასახელებაზე 300
3	ღვინისა და ღვინის ბრენდის ახალი ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონა-ცემთა შესწავლა-დადგენის შესახებ დასკვნის მომზადება და გაცემა		500
4	ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების რეკლა-მის განთავსება სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე	ერთი წელი	500
5	ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირება		ყოველ ნიმუშზე 50
6	ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შესახებ ინფორმაციის გაცემა	ერთი წელი	200
7	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს ლოგოს (სასაქონლო ნიშნის) გამოყენების უფლებით		თითოეულ ბოთლზე 0,05“.

	სარგებლობა		